




















704
2890
752
176
1644
884

საკადასტრო აზომვითი ნახაზი



მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილი, II მ/რ, კორპ. №1-ის მიმდ.	ფართობი: 298 კვ.მ
თარიღი: 27.11.2015 | კატეგორია: არასასოფლო სამეურნეო	შპს "გეოდეზისტი 2009" ქ. შარტავას ქ. №14
პირობითი ნიშნები ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი შენობა, შენობის ნომერი/სართულიანობა მშენებარე ნაგებობა სერვიტუტი	საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი: მ. გეგელია დაინტერესებული პირი: შპს "იეს-მუს"

„შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ქ. აბესაძე

„შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე



საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრი

599 780129;599 558367;597371441 email-u.sturua@gmail.com

შ.პ.ს „ეს-მუს" ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე ნაკვეთში (საკ. კოდი 01.19.20.002.073) მშენებარე მრავალბინიანი კორპუსთან არსებული შესასვლელი გზის საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა საკონტაქტო პიროვნება რამინი ტელ. 599 42 62 49

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა

მ. 1:500

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

№ 20/8-2750227

„09“ 12 2015 წ.

შ.პ.ს. „იეს მუსი“–ს მინდობილ პირს
გატონ რამინ გალიევს
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ. N68, ბ. 54

თქვენს მ/წლის 3 დეკემბრის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს
გატონ ლაშა ჯოხაძეს

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე, შ.პ.ს. „იეს მუსი“–ს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.002.073) მშენებარე მრავალბინიან კორპუსთან მისასვლელი გზის მოწყობის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით ითხოვთ ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ მ/წლის 3 დეკემბრის N1360375 გადაწყვეტილებას და მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის თქვენს მიერ წამოდგენილ სქემას.

მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ აცნობეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241 85 04, 241 85 05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემების შესაბამისად. შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების დაწყება და იმოქმედეთ საქართველოს ასკ 134–ემუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: “3 “ ფურცლად

პატივისცემით,

დეპარტამენტის საორგანიზაციო
სამმართველოს უფროსი

ალექსანდრე ციწცაძე

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38 Noe Ramishvili St., Tbilisi

ტელ/Tel.: (+995 32) 241 85 02
ფაქსი/Fax: (+995 32) 2 41 85 02

E-mail: ushba@mia.gov

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
15.12.2015	15.12.2015

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს "იეს-მუს" 200269137
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1360375
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1360375

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩა ნაკვეთი #01.19.20.002.073-ს მიმდებარედ, გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, #1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის 2015 წლის 9 დეკემბრის №20/8–2750227 წერილით დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2023081

გაცემის თარიღი: 21/07/2015 გაცნობის თარიღი: 21/07/2015

განცხადების ნომერი: AR1313698

შემოსვლის თარიღი: 28/05/2015

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.20.002.073
- მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , ქუჩა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა, ნაკვეთი 02/073
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 459.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს ,,იეს-მუს" (200269137)

ნომენკლატურა :

- **მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა**
- **IV კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ილდირაი კურტ პ/ნ 01017041168
- მისამართი: ქ.თბილისი კეკელიძის 46 ა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1902550
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 8.05.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, სასურსათო მაღაზია, ოფისი-კანტორა)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ ბეჟაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "გრინ სტუდიო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406135481

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "იეს-მუს"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200269137
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ილდირაი კურტ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017041168

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 459.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 331.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1851.9
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 889.3
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 200.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 200.9
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 222.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 78.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 259.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7423.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6349.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1073.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 28.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 25.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 298.3 კვ.მ კ1=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1621.9 კვ.მ კ2=3.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 27.5 კვ.მ კ3=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, ქუჩა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა, ნაკვეთი 02/073, შპს "იეს-მუს"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე

(ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.19.20.002.073) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, სასურსათო მაღაზია, ოფისი-კანტორა) არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 20 ივლისიდან 2017 წლის 20 ივლისის ჩათვლით.
4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის:
4.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
4.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;
4.4 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან;
4.5 სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
4.6 მწვანე ნარგავების (გარდა ხილ–კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4.7 მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კატენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, დკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.